სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030676177992322

28 / იანვარი / 2022 წ. **თბილისი #06-13/ო**

„2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის № 4 დადგენილებით განსაზღვრული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის კომპონენტის“, „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „უსაფრთხო სისიხლის“ სახელმწიფო პროგრამის, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ახალშობილთა სმენის დიაგნოსტიკური კვლევის“, „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილების ფარგლებში ვაუჩერის სახით სამედიცინო სერვისის მიმწოდებლად მსურველთა სარეგისტრაციო ფორმების, მათი შევსების წესის და საანგარიშგებო დოკუმენტაციის და მათი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე

„2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის № 4 დადგენილებით განსაზღვრული, ვაუჩერის სახით სამედიცინო სერვისის მიმწოდებლად მსურველთა სარეგისტრაციო ფორმები, მათი შევსების წესი და საანგარიშგებო დოკუმენტაცია და მათი შევსების წესი თანდართული დანართების შესაბამისად:
ა) „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის კომპონენტი“ **(დანართი#1);**
ბ) „იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა“ **(დანართი #2);**
გ) „უსაფრთხო სისიხლის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #3);**
დ) „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ახალშობილთა სმენის დიაგნოსტიკური კვლევის“ კომპონენტი **(დანართი #4);**
ე) „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის კომპონენტი **(დანართი #5);**
ვ) „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „სკრინინგული კვლევის“ კომპონენტი **(დანართი #6);**
2. "დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის კიბოს სკრინინგის კომპონენტის", "უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის, "ახალი კორონავირუსული დაავადების Covid19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის“ კომპონენტის და "C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „სკრინინგული კვლევის კომპონენტის" ფარგლებში, სერვისის მიმწოდებლად 2022 წლის 15 იანვრამდე რეგისტრირებული დაწესებულებების ხელახალი რეგისტრაციის პროცესი განხორციელდეს 2022 წლის პირველ მარტამდე.
3. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის

მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძე.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე